

ა) საპატიო წოდების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილი ორგანიზაციის ან პირების რეკომენდაცია,საიდანაც უნდა ჩანდეს საპატიო წოდებაზე წარდგენილი კანდიდატურის ღვაწლი და დამსახურება;

ბ) ბიოგრაფიული და დემოგრაფიული ცნობები;

გ) კანდიდატის ღირსების,ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი, საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი ან საპატიო წოდებაზე წარდგენის დღემდე უცნობი დოკუმენტალური და სხვა სახის მასალები;

დ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი, 2(ორი) ფოტოსურათი და კანდიდატის წერილობითი თანხმობა.

3. დასახელებული კანდიდატების შესახებ ცნობების შეგვერებას და განხილვას აწარმოებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამადანტო,საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, რომელიც კომისიის დასკვნის სახით წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ცნობები (მონაცემები) წოდების მინიჭებისათვის წარდგენილი კანდიდატის შესახებ.

### **მუხლი 3. წოდების მინიჭება**

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ იქმნება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭო“ (შემდგომში-საბჭო).

2.საბჭოს რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3. საბჭო რეკომენდაციას იღებს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

4.საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

5. წოდების მინიჭებისას მოქალაქეს გადაეცემა მოწმობა და დიპლომი, შეიძლება გადაეცეს ფასიანი საჩუქრები ან ფულადი ჯილდო.

6. წოდებას და შესაბამის ატრიბუტიკას გადასცემს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

### **მუხლი 4 წოდების მქონე პირის უფლებები.**

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილის მიუხედავად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სარგებლოს ყველა იმ პრივილეგიებითა და შეღავათებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საპატიო სტუმრებთან შეხვედრებში, დიალოგებში, დისკუსიებში, მუნიციპალიტეტის საკეთილდღეო ღონისძიებათა შემუშავებაში.

ბ)ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დააყენოს საკითხი ნიჭიერი, უნარიანი და კეთილსინდისიერი ლანჩხუთელის თვითრეალიზაციის ხელშემწყობი პირობების შექმნის თაობაზე.